სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

# ეთიკის კოდექსი

## თავი I. მოქმედების სფერო და პასუხისმგებლობის საკითხები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ეთიკის კოდექსი (შემდგომში - ეთიკის კოდექსი) განსაზღვრავს აკადემიის პერსონალის (გარდა სამხედრო მოსამსახურეებისა ((შემდგომში - მოსამსახურე) ეთიკის ნორმებსა და ღირებულებებს აგრეთვე, ქცევის ზოგად წესს.

2. ეთიკის კოდექსი შექმნილია, რათა უზრუნველყოს აკადემიის პერსონალის ეფექტური თანამშრომლობა, ხელი შეუწყოს იუნკერთა/მსმენელთა პატრიოტულ, ინტელექტუალურ, კულტურულ, ფიზიკურ და ზნეობრივი აღზრდას; იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებულ სამხედრო და სამოქალაქო სწავლებას, სრულყოფილი უმაღლესი განათლების მქონე ლიდერების აღზრდას, იუნკერების/მსმენელების კონკურენტუნარიან და წარმატებულ კარიერულ წინსვლას.

### მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიზანი

1. ეთიკის კოდექსის მიზანია:

ა) აკადემიაში ეთიკური გარემოს შექმნა, კეთილსინდისიერების ამაღლება, დისციპლინის განმტკიცება, აკადემიის პერსონალზე დაკისრებული ფუნქციამოვალეობების მაღალხარისხოვანი შესრულების უზრუნველყოფა და აკადემიის პერსონალის მიმართ პატივისცემის გრძნობის ამაღლება.

ბ) აკადემიის პერსონალის ქცევის წესის მოწესრიგება.

გ) პლაგიატის პრევენცია;

დ) კვლევის ეთიკის ხელშეწყობა.

მუხლი 3. აკადემიის პერსონალის ეთიკის ნორმები

1. აკადემიის პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას, ამ მიზნით აკადემიის პერსონალი:

ა) უნდა მოქმედებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იცავდეს აკადემიაში მოქმედ სამართლებრივ აქტებს;

ბ) უნდა უზრუნველყოფდეს აკადემიის საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან წარმართვას, იუნკრების/მსმენელების სამართლიან და ობიექტურ შეფასებას;

გ) უნდა ქმნიდეს შესაბამის გარემოს სასწავლო – სამეცნიერო და პროფესიული განვითარებისათვის;

დ) პატივს უნდა სცემდეს აკადემიას და მის ტრადიციებს;

ე) აკადემიის საჭიროებისათვის, ეფექტურად უნდა იყენებდეს აკადემიის ქონებას, სამუშაო დროს და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს;

ე1) აკადემიის პერსონალი ვალდებულია: ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრისა და კომუნიკაციისას დაიცვას სუბორდინაცია, ფორმალური საუბრის ნორმები, გამოხატავდეს პატივისცემას, მიესალმოს ფეხზე წამოდგომით;

ვ) დაიცვას კვლევის ეთიკის პრინციპები.

2. აკადემიის პერსონალს ეკრძალება:

ა) თანამშრომლის მიმართ ღირსების შემლახავი ქცევის, უპატივცემულობის გამოვლენა;

ბ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;

გ) სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდება;

დ) ხელმძღვანელი პირისათვის ცრუ, შეცდომაში შემყვანი ან ტყუილის შემცველი ინფორმაციის მიწოდება;

ე) ფაქტების ან/და განცხადებების არასწორი განსჯა;

ვ) თამბაქოს მოხმარება აკადემიის ტერიტორიაზე, გარდა საამისოდ ნებადართული ადგილებისა;

ზ) აკადემიის ტერიტორიაზე (შენობაში) აზარტული თამაშების მოწყობა და მათში მონაწილეობა;

თ) აკადემიის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;

ი) ბილწსიტყვაობა, შეუფერებელი ჟესტიკულაცია, კონფლიქტის ესკალაცია;

კ) თვითნებურად ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა ან/და ნივთიერებების აკადემიის ტერიტორიაზე შემოტანა, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

ლ) ძალადობა, მუქარა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება;

მ) გამოიყენოს თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის. ასევე, დაუშვებელია აკადემიის პირადი შემადგენლობის მიერ სამუშაო საათებში ან სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობის მიღება აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში, ან/და რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

ნ) სხვა არაკეთილსინდისიერი ქცევა, ან ქცევა რომელიც დაკავშირებულია და ზიანის მომტანია სამუშაო/სასწავლო პროცესისათვის.

ო) პლაგიატი;

პ) კვლევის ეთიკის პრინციპების დარღვევა.

მუხლი 4. აკადემიის სამხედრო მოსამსახურეთა ეთიკური ნორმები

1. აკადემიის სამხედრო მოსამსახურეთა ეთიკური ნორმები რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის №01 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად.

2. იუნკერთა/მსმენელთა მიმართ, აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ნორმები რეგულირდება აკადემიის „საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, წარდგენის

და დაცვის ინსტრუქციისა“ და „სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციის“ შესაბამისად. მუხლი 5. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

აკადემიური პერსონალის, აგრეთვე მოწვეული პერსონალის და მასწავლებელთა მიმართ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით და აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა დისციპლინური დევნა შესაძლებელია დაიწყოს აკადემიური თაღლითობისათვის (გადაწერა სხვა აკადემიური პერსონალისგან, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც აკადემიის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ). მუხლი 6. პლაგიატის აკრძალვა:

1. აკრძალულია სხვისი ნაშრომის ან იდე(ებ)ის წარმოდგენა საკუთარ ნაშრომად ავტორის ნებართვის გარეშე. ნაშრომში იგულისხმება, როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი მასალა (სახელმძღვანელოები, ჟურნალები, ლექციები, თეზისები, სტუდენტური ესეები და პროექტები, ინტერნეტიდან გადმოწერილი ტექსტები, მონაცემები და წყაროები), როგორც ხელნაწერი, ასევე ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. მასალა შეიძლება იყოს როგორც ტექსტი, ასევე ვიდეო-აუდიო ფაილები, კომპიუტერული კოდი, ილუსტრაციები, გრაფიკები და ა.შ. (პლაგიატი)

2. აკრძალულია საკუთარი ნაშრომის გამოყენება რეფერირების გარეშე სხვა ნაშრომში, ერთდროულად ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა სარგებელის მიღების მიზნით ან/და უკვე შეფასებული ნაშრომის ხელახლა შეფასების მიზნით საკუთარი ნაშრომის გამოყენება. (თვითპლაგიატი (self plagiarism))

3. აკრძალულია მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია).

4. პლაგიატის შესახებ ინფორმაცია, პრევენცია, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები, ასევე პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში აკადემიაში არსებული პოლიტიკა განისაზღვრება „სსიპ - დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პლაგიატის რეგულირების წესით“.

მუხლი 7. კვლევის ეთიკის პრინციპების დარღვევის აკრძალვა

1. აკრძალულია კვლევით საქმიანობაში ჩართული პირის მიერ ამ დოკუმენტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კვლევის ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევა.

2. კვლევის ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ამ კოდექსის მეორე თავში გათვალისწინებული ნორმებით.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევისათვის

ამ კოდექსის მე - 3, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო აკადემიის პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახეს აკადემიის შინაგანაწესით დადგენილი წესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს აკადემიის ეთიკის კომისია.

მუხლი 9. აკადემიის პერსონალის პასუხისმგებლობა

1. აკადემიის სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს, აწესრიგებს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო სადისციპლინო წესდება“.

2. აკადემიის პერსონალის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დარღვევისათვის, გამოიყენება აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

## თავი II. კვლევის ეთიკა

მუხლი 10. სტანდარტის მოქმედების სფერო ამ სტანდარტის

გათვალისწინებული დებულებების მოქმედება ვრცელდება:

ა. აკადემიაში დასაქმებულ პერსონალზე (შემდგომ „პერსონალი“), რომლებსაც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნის, გასაჯაროების ან/და გამოქვეყნების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ;

ბ. იუნკერებზე/მსმენელებზე, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნის, გასაჯაროების ან/და გამოქვეყნების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ.

## მუხლი 11. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ დოკუმენტის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მეცნიერება არის საქმიანობა, რომელიც ახალ ცოდნას ქმნის. მისი მთავარი დანიშნულებაა ჯერ გაარკვიოს, შემდეგ - ახსნას. მეცნიერების მიზანია უცნობი საკითხების აღმოჩენა, ცოდნის შეგროვება, გაანალიზება და მისი სარგებლიანად გადაქცევა, რაც გამოიხატება სწავლებაში და მიღებული ცოდნის გადაცემაში.

ბ) მეცნიერი არის კონკრეტული სამეცნიერო დარგის წარმომადგენელი, რომელიც სისტემატურად აგროვებს მონაცემებს და იყენებს კვლევებს და მტკიცებულებებს ჰიპოთეზების შესაქმნელად და შესამოწმებლად, გაგებისა და ცოდნის მოსაპოვებლად და გასაზიარებლად.

შენიშვნა: მეცნიერის საქმიანობის მიღწევები შეიძლება განისაზღვროს შემდეგით:

- <u>როგორ გადიან ისინი ამ გზას</u> - მაგალითად, სტატისტიკური მონაცემების(სტატისტიკა) ან მონაცემების (სამეცნიერო) გამოყენებით;
- <u>რის გაგებას ცდილობენ</u> - მაგალითად, სამხედრო ალიანსების, მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების(მენეჯერი, სოციალური მეცნიერებების მკვლევარი ) ან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების (ინჟინერი, ინფორმატიკოსი) შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას;
- <u>სად იყენებენ</u> - ისინი თავიანთ სამეცნიერო მიღწევებს, მაგალითად, განათლების სფეროში(განათლების მეცნიერი).

გ) კვლევა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად განხორციელებული მიზნობრივი ძიებაა. სწორედ კვლევის საშუალებით იქმნება ახალი ცოდნა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში.

დ) მკვლევარი არის პიროვნება, რომელსაც აქვს აკადემიური და სამეცნიერო თავისუფლება. მკვლევარი მონაწილეობას იღებს კვლევითი ცენტრის გეგმით გათვალისწინებული პროექტის (პროექტების) შესრულებაში. მას აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები; ასევე, მონაწილება მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში; წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება ცენტრის მიერ დასახული ამოცანების შესრულებასთან.

ე) სამეცნიერო სტატია - სამეცნიერო სტატია არის პუბლიკაცია, რომელიც ეფუძნება ემპირიულ მტკიცებულებებს. მას შეუძლია მხარი დაუჭიროს ჰიპოთეზას

ორიგინალური კვლევით, აღწეროს არსებული კვლევა ან კომენტარი გააკეთოს კონკრეტულ სფეროში მიმდინარე ტენდენციებზე. სამეცნიერო კვლევის სახეებია: ორიგინალური კვლევები, აღწერითი, ანალიტიკური, სხვადასხვა კვლევის მეთოდების დახმარებით შექმნილი ნაშრომები, მეტაანალიზი, კომენტარი(დასკვნები).

ვ) ავტორი - პირველი ავტორი უნდა იყოს ის, ვინც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ნაშრომში, მათ შორის ხელნაწერის დაწერაში. ავტორთა თანმიმდევრობა უნდა განისაზღვროს ხელნაწერის საერთო წვლილის მიხედვით. უფროსი ავტორი, ისევე როგორც ყველა სხვა ავტორი, უნდა აკმაყოფილებდეს ავტორობის ყველა კრიტერიუმს.

ხანდახან უფროსი ავტორი იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის დაწერაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მკვლევარ სტუდენტს ჯერ არ უსწავლია სამეცნიერო წერის უნარები.

ზ) თანაავტორი - არსებობს დეტალური წესები იმის შესახებ, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სამეცნიერო სტატიის თანაავტორები. ავტორად ჩამოთვლილმა თითოეულმა პირმა უნდა შეიტანოს მნიშვნელოვანი პირდაპირი ინტელექტუალური წვლილი ნაშრომში. მაგალითად, ხელი უნდა შეუწყოს შედეგების კონცეფციას, დიზაინს და/ან ინტერპრეტაციას. დაფინანსების, ტექნიკური დახმარების, პაციენტების ან მასალების უზრუნველყოფა, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს სამუშაოსთვის, თავისთავად არ არის საკმარისი წვლილი სამუშაოში იმისათვის, რომ გახდეთ კონტრიბუტორი. ყველა, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომში, უნდა იყოს თანაავტორი.

მუხლი 12. მეცნიერულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

მეცნიერულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:

ა) კეთილსინდისიერება: ის სამეცნიერო ნაშრომის ხარისხის საფუძველია.

მკვლევარმა ყველა გამოყენებული წყარო უნდა დაამოწმოს და არგუმენტაციის აგების

პრინციპი ნათლად წარმოაჩინოს. მონაცემებით მანიპულირება, მათი გაყალბება და

შედეგების გამოგონება დაუშვებელია სამეცნიერო მუშაობის პროცესში.

ბ) ობიექტურობა: სამეცნიერო ნაშრომი უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და მასში არ უნდა ვლინდებოდეს ავტორის პირადი სიმპათიები ან დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ. ნეიტრალური პოზიცია იმის წინაპირობაა, რომ თუ

მკითხველი სხვა დროს, სხვა ადგილას მსგავს გზას აირჩევს კვლევის წარმართვისას, იმავე შედეგებს მიიღებს, რაც აღნიშნულმა ნაშრომმა წარმოაჩინა.

გ) მნიშვნელოვნება: ეს კრიტერიუმი განაპირობებს დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დისციპლინის წინსვლას. მნიშნელოვანია ის ნაშრომები, რომლებიც მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევიან (კომპილაციური6 გამოკვლევა) და ამასთან ის კვლევები, რომელთაც კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების ამოხსნა/გადაჭრაში შეაქვთ წვლილი.

დ) ორიგინალურობა: სამეცნიერო ნაშრომის შქმნისას, სამუშაო დამოუკიდებლად უნდა შესრულდეს, რაც დამოუკიდებელ აზროვნებას მოითხოვს. სამეცნიერო ნაშრომში ორიგინალურობა მიიღწევა ახალი კონცეფციის შექმნით, ინოვაციური სქემის წარმოდგენით, კვლევის ახალი მოდელის/მეთოდის დამკვიდრებით ან პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვით.

ე) აზრობრივი და ენობრივი სიცხადე: სამეცნიერო ნაშრომის ენა უნდა იყოს მარტივი, ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი, წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ აგებული და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციების საშუალებას.

ვ) ვალიდურობა (საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა): მნიშვნელოვანია, აკადემიურ ნაშრომში საკვლევი პრობლემის სრულყოფილად გააზრება, სამეცნიერო ლიტერატურისა თუ სხვა საკვლევი ხელსაწყოების ზედმიწევნით შერჩევა და მათი ურთიერთკავშირის მკაფიოდ წარმოჩენა.

ზ) გამჭვირვალობა/გადამოწმებადობა: სამეცნიერო ნაშრომი არა ვარაუდებზე, არამედ გადამოწმებულ, სანდო ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უნდა იყოს აგებული და მოყვანილი არგუმენტები ზედმიწევნით, უშეცდომოდ დამოწმებული, რათა მკითხველს, (უწინარესად კი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელს, დარგის სპეციალისტს) სურვილის შემთხვევაში, კვლევის გადამოწმება არ გაუჭირდეს.

შენიშვნა: (მეცნიერულობის კრიტერიუმები გადამუშავებულია შემდეგ წყაროებზე დაყდნობით: Balzert u.a. 2015, 17-39, Voss 2017, 31-35, ეკო 2014, 54-61, 204-213).

მუხლი 13. კვლევის ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები

სამეცნიერო ეთიკა არის არა მხოლოდ ადმინისტრაციული წესები, არამედ მორალური პრინციპების ერთობლიობა, რომელსაც მეცნიერები იცავენ სამეცნიერო საქმიანობაში და რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერების ფუნქციონირებას.

1. მეცნიერმა უნდა დაიცვას სამეცნიერო ეთიკის პრინციპები, რათა წარმატებით ჩაერთოს სამეცნიერო კვლევაში;
2. ადამიანების ჩართულობით ჩატარებული ნებისმიერი კვლევა უნდა განხორციელდეს საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური პრინციპების შესაბამისად.
3. ეთიკური პრინციპებია:

   ა) პიროვნების პატივისცემის პრინციპი - პიროვნების კვლევაში მონაწილეობის ხასიათი ნებაყოფლობითია. კვლევის პოტენციურ მონაწილეებს კვლევაში ჩართულობის გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მიეწოდოთ შესაბამისი, ზუსტი და გასაგები ინფორმაცია კვლევითი პროექტის შესახებ. პიროვნება აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას.

   ბ) კეთილგანწყობის პრინციპი - სარგებლიანობისა და უვნებლობის პრინციპები ასახავს კვლევის მორალურ ვალდებულებას გაზარდოს პოტენციური სარგებელი და შეამციროს შესაძლო ზიანი კვლევის მონაწილეთათვის. კვლევითი პროექტის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო ვარგისიანობის სტანდარტებს, ასევე, მკვლევარებს მოეთხოვებათ კვლევის განხორციელება შესაბამისი პროფესიული სტანდარტებისა და ვალდებულებების დაცვით, რათა უზრუნველყონ კვლევის მონაწილეთა საჭირო დაცულობას, კერძოდ, მონაცემთა ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის დაცვას.

   გ) სამართლიანობის პრინციპი - კვლევის მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები უნდა გამომდინარეობდეს კვლევის მიზნებიდან და არ იყოს დაფუძნებული, მაგალითად, მხოლოდ მონაწილეთა თანხმობის ადვილად მიღების გარემოებაზე.

## თავი III. ეთიკის კომისიის უფლება-მოვალეობანი

### მუხლი 14. ეთიკის კომისია

1. აკადემიის პერსონალის ქმედების ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით იქმნება ეთიკის კომისია;

2. ეთიკის კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, კოლეგიალობის, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძველზე;
3. ეთიკის კომისია ეთიკის ნორმების დარღვევას განიხილავს მიუკერძოებლად და ობიექტურად თანასწორობის პრინციპის საფუძველზე.
4. ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

)

ა ეთიკის კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან (მათ შორის თავმჯდომარე), რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავს და შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს აკადემიის რექტორი;

ბ) ეთიკის კომისიის წევრი ინიშნება 1 წლის ვადით;

გ) ეთიკის კომისიის წევრის დანიშვნამდე საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა;

დ) ეთიკის კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;

ე) ეთიკის კომისიის წევრს შეუწყდება ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილება, თუ მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

5. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე:

ა) ეთიკის კომისიის თავმჯდომარე უძღვება კომისიის სხდომებს, ხელმძღვანელობს და წარმართავს ეთიკის კომისიის საქმიანობას;

ბ) ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი დავალებით და კომისიის ზეპირი გადაწყვეტილებით კომისიას თავმჯდომარეობს, კომისიის ერთ-ერთი წევრი.

6. ეთიკის კომისიის უფლებამოსილების ფარგლები:

ა) ეთიკის კომისია ყველა გადაწყვეტილებას (მათ შორის საორგანიზაციო საკითხებზე) იღებს სიითი შემადგენლობის ¾ -ის თანხმობით;

ბ) ეთიკის კომისიას უფლება არა აქვს გასცდეს აკადემიის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების განხილვის ფარგლებს, არსებითი მსჯელობის საგნად აქციოს ის ფაქტები ან გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება აკადემიის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევას.

7. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება:

ა) ეთიკის კოდექსის დარღვევის ხარისხისა და სიმძიმის გათვალისწინებით ეთიკის კომისია უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი დასკვნა:

ა.ა) დასკვნა ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ; ა.ბ) დასკვნა საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ; ა.გ) დასკვნა საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

)

ბ) დასკვნას ხელს აწერს ეთიკის კომისიის დამსწრე ყველა წევრი;

გ კომისიის დამსწრე წევრის განსხვავებული აზრი წერილობით მიეთითება დასკვნაში;

დ) ეთიკის კომისიის დასკვნა ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ წარედგინება აკადემიის რექტორს და წარმოადგენს დისციპლინური დევნის საფუძველს გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

8. ეთიკის კომისია ეთიკის ნორმების დარღვევის საკითხს განიხილავს ფაქტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. საქმისწარმოების დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) გავრცელებული ინფორმაცია მოსამსახურეთა მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევად ჩაითვალოს;

გ) ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტის აღმოჩენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ეჭვს, რომ ადგილი აქვს მოსამსახურეთა მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევას.

10. ყოველ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის სხდომის ფორმატის და დასკვნის საჯაროობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეთიკის კომისია.

11. ეთიკის კომისიის მიერ საქმისწარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღება, თუ გამოკვლევის შედეგად არ დადასტურდა მოსამსახურეთა მიერ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის დარღვევის ფაქტი ან ბრალეულობა.

12. საქმისწარმოების განსახილველად მომზადება:

ა) ეთიკის კომისია ნიშნავს საქმის განხილვის დღეს;

ბ) ეთიკის კომისიამ საქმის განხილვის ადგილი, დღე და საათი დროულად უნდა აცნობოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის შესახებ, აგრეთვე დაინტერესებულ პირს;

)

გ) ეთიკის კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და აცნობოს მათ საქმის განხილვის ადგილი, დღე და საათი.

13. ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვა:

ა ეთიკის კომისიის სხდომას ხსნის კომისიის თავმჯდომარე მისი არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელი;

ბ) მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვა ეძლევათ მხარეებს თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესაბამისად;

გ) მხარეებს უფლება აქვთ სრულად გამოხატონ და სათანადოდ დაიცვან თავიანთი პოზიციები, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები, წარადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებები.

## თავი IV. გარდამავალი დებულებები

მუხლი 15. ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი ეთიკის კოდექსში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება ამ დოკუმენტის მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.